„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გვეტაძე
„06“ 05 2025 წ.

საქართველოს სენიორთა ჩემპიონატი
27 მაისი - 3 ივნისი, 2025 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

2. ტურნირები:
2.1. ღია ტურნირი;
2.2. ქალთა ტურნირი.

3. ღონისძიების მართვა:
განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. ჩატარების ვადები და ადგილი:
27.05-03.06. 2025 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია, გიორგი ბრწყინვალის 32.

5. სათამაშო წესები:
5.1. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე;
5.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად;
5.3. ქალთა ტურნირში მონაწილეთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს გააერთიანოს ღია და ქალთა ტურნირები;
5.4. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი;
5.5. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. მონაწილენი და რეგისტრაცია:
6.1. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2025 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (**დანართი 1**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE30BG0000000584705115). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28
6.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1976 წლის 1 იანვრამდე დაბადებულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ კაცებს და ქალებს;
6.3. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/rSPxUMoo1AQ29dYXA ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ პირადობის მოწმობის ასლი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 26 მაისი 18:00 სათი.
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
6.4. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

7. თაი – ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

წრიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. კოიას სისტემა.
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, გათამაშდება დამატებითი პარტიები ელვისებურ ჭადრაკში პირველ გამარჯვებამდე.

8. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	27 მაისი	
I ტურის კენჭისყრა	28 მაისი	12:00
გახსნა		14:45
I ტური		15:00
II ტური	29 მაისი	15:00
III ტური	30 მაისი	15:00
IV ტური	31 მაისი	15:00
V ტური	1 ივნისი	15:00
VI ტური	2 ივნისი	15:00
VII ტური	3 ივნისი	15:00
დახურვა	3 ივნისი	18:00

9. დაჯილდოება:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით;
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით;
- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ 2025 წლის მსოფლიო სენიორთა ჩემპიონატის საგზურს.

10. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

11. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე